ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და

ქვეპროგრამების შესახებ

შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
კოდი 30 06
(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**.

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 06)**

პროგრამის განმახორციელებელი: **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო**

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	97 600	97 600	50 403,7	51.64%	65.2

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში 25 750 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/აფეთქებები/აფეთქების საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით, ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;

- ქვეყნის მასშტაბით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შემოწმება, სამშენებლო პროექტების განხილვა და მშენებლობის შესაბამისი ნებართვების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაცემა;
- სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების გეგმიური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების ჩატარების მიზნით, დამტკიცდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტების ნუსხისა და ამ ობიექტების შემოწმების 2019 წლის გეგმა რეგიონების მიხედვით;
- განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის 733 ობიექტის შემოწმება, დეტალური შემოწმებები პირველ ეტაპზე ხორციელდება სასტუმროებში, ბაღებსა და სკოლებში;
- სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით, განხორციელდა 568 სამშენებლო პროექტის განხილვა და მშენებლობის შესაბამისი ნებართვების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაცემა;
- მომზადდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გასაფორმებელი მემორანდუმი, რომლის ფარგლებში იგულისხმება კვლევითი ცენტრის შექმნა, და, ასევე, სამსახურში შედგება სამუშაო ჯგუფი ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და პრაქტიკოსი ექსპერტების მონაწილეობით, რომელთა ძირითად ამოცანად განისაზღვრება ზედამხედველობის სფეროში არსებული ნორმატიული ბაზის განახლება/დახვეწა/შექმნა;
- ამოქმედდა ცხელი ხაზი, სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით;
- საანგარიშო პერიოდში დასრულდა მუშაობა ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონულ სისტემაზე (eFris), რომელიც საპილოტე რეჟიმში ჩაირთო სახანძრო-სამაშველო ძალების ოპერატიული მართვის სამმართველოსა და თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოში შემავალ სამ განყოფილებაში. სისტემის მომხმარებელთა (დისპეტჩერების) მიერ წარმოებს სისტემის ტესტირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ასევე, პარალელურად მიმდინარეობს გამოვლენილი ხარვეზებისა და უზუსტობების აღმოფხვრა;
- საანგარიშო პერიოდში ინტერაქტიული რუკის (maps.es.gov.ge) ფუნქციონალური და ინფორმაციული განვითარების მიზნით, რუკაზე დატანილია ინფორმაცია თბილისში, იმერეთსა და გურიაში არსებული ჰიდრანტების შესახებ, ასევე საქართველოს მასშტაბით სახანძრო სამაშველო განყოფილებებისა და სკოლების შესახებ. ხდება 40-მდე სახანძრო მანქანის ონალინ თრექინგი (ემატება ეტაპობრივად), შესაძლებელია მარშრუტის შედგენა ორ წერტილს შორის. მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები ბუნებრივი საფრთხეების შრეების ინტეგრაციისთვის;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის (eFss) ჩამოყალიბებისათვის დაპროექტდა მონაცემთა ბაზის არქიტექტურა, შეიქმნა შესაბამისი ცხრილები, რელაციები და სხვა საჭირო ობიექტები. შემუშავებულია სერვისების, აპლიკაციის ბიზნეს ლოგიკისა და მომხმარებლის ინტერფეისის დაახლოებით 70%;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მიერ გამოყენებულ ბაზებში ინფორმაციის მიმოცვლისა და მუდმივი განახლების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სამსახურის მიერ შემუშავდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტი;
- შემუშავდა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეობის განვითარების კონცეფცია. მოხალისეობის მსურველთა რეგისტრაციის მიზნით, შეიქმნა შესაბამისი პორტალი Volunteers.ge და განისაზღვრა რეგისტრაციის ფორმა. აღნიშნული ფორმის მეშვეობით,

ნებისმიერ მსურველს ექნება შესაძლებლობა, შეავსოს აპლიკაცია და შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ გახდეს მოხალისეთა ეროვნული სიის წევრი.

- საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის ევროკავშირის INSPIRE დირექტივის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, UNDP-ის ადგილობრივ ექსპერტებთან თანამშრომლობით შემუშავდა ბუნებრივი საგანგებო სიტუაციების კლასიფიკატორის პროექტი;
- სამსახურის, სუს-ის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსა და კომპანია Motorola-ს ინჟინრების თანამშრომლობით განხორციელდა 2018 წლის ბოლოს შესყიდული 6 საბაზისო რადიო სადგურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცენტრალურ რადიოკავშირის სისტემაში ინტეგრაცია, სადისპეტჩერო კონსოლების გამართვა და ასევე 4G (LTE) სერვერის პროგრამირება, კონფიგურაცია და სისტემაში ინტეგრაცია. ამ დროისათვის დაპროგრამებულია 600 ხელის რადიოსადგური, 20 სამანქანო რადიოსადგური და 17 სამაგიდე რადიოსადგური;
- მომზადდა ხანძრების/წაკიდებების და მათი შედეგების სტატისტიკური მაჩვენებლებისა და ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების სტატისტიკური მაჩვენებლების ანგარიშები;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს ზურგის დანაყოფის სრულფასოვანი მუშაობისათვის საწყის ეტაპზე გაფორმებულია ხელშეკრულება სახანძრო კიბის შეძენის შესახებ, რომლის მოწოდება მოხდება 2020 წელს. ასევე, დასრულდა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები 31 ახალი სახანძრო-სამაშველო ავტომანქანის შესყიდვასთან დაკავშირებით, რომელთაგან 26 ერთეული მოწოდებულ იქნება 2019 წლის ბოლოს, ხოლო 5 ერთეული 2020 წლის დასაწყისში;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილია 4 000 წყვილი მეხანძრე-მაშველის სპეციალიზირებული ფეხსაცმელი. ასევე, გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება მეხანძრე-მაშველის 4 000 წყვილი ზაფხულის და 2 000 წყვილი ზამთრის ყოველდღიური ფორმის შეძენასთან დაკავშირებით, საიდანაც მოწოდებულია 1092 წყვილი ზაფხულის ფორმა;
- ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საზღვაო მაშველების უნიფორმისა და სპეციალიზირებული ფეხსაცმლის შესყიდვა. ასევე, წყალზე სამაშველო აღჭურვილობის იმ ნაწილის შეძენა, რომელიც აუცილებელი იყო საზღვაო სეზონის გასახსნელად;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქ. ბორჯომის, ქ. ზუგდიდის, ჩოხატაურისა და ქ. სიღნაღის სახანძრო-სამაშველო ობიექტების მშენებლობა;
- მეხანძრე-მაშველთათვის ნორმალური სამუშაო გარემოს შემქნის მიზნით, საანგარიშო პერიოდში თბილისში 15 სახანძრო-სამაშველო ობიექტზე განხორციელდა სამზარეულოების კაპიტალური რემონტი;
- საანგარიშო პერიოდში დასრულდა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები 10 ერთეული ზღვის სამაშველო კოშკურის მშენებლობასთან დაკავშირებით;
- ტყის ხანძრებთან ბრძოლისა და მათი ფართო მასშტაბებზე გავრცელების ხელის შეშლის მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულება შვეულმფრენისათვის განკუთვნილი კალათის შესყიდვასთან დაკავშირებით, რისი მოწოდებაც განხორციელდება 2019 წლის მე-3 კვარტალში;
- საანგარიშო პერიოდში, სამსახურში დასაქმებული პირების ფუნქციათა ანალიზის საფუძველზე, განხორციელდა სამსახურის ადმინისტრაციული დანაყოფების (გარდა სახანძრო-სამაშველო დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფებისა) ოპტიმიზაცია და რეორგანიზაცია;
- სამსახურის იმიჯის სრულყოფის მიზნით, მიმდინარე რებრენდინგის ფარგლებში, განხორციელდა სამსახურის ახალი ლოგოს შემუშავება;
- გაიმართა მოლაპარაკებები სამსახურსა და აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს DTRA-ს წარმომადგენლებს შორის, სამსახურისთვის გადმოსაცემი ქბრბ აღჭურვილობის სპეციფიკაციების დაზუსტებასთან დაკავშირებით;

- სამომავლო თანამშრომლობისა და პარტნიორობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში შეხვედრები გაიმართა ესტონეთის, ჩეხეთის და შვედეთის განვითარების თანამშრომლობის წარმომადგენლებთან, ასევე იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) და USAID-ის წარმომადგენლებთან;
- საანგარიშო პერიოდში გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახურის წარმომადგენლების მიერ განხორციელდა სამსახურის შეფასება International Search and Rescue Advisory Group (INSARAG)-ის აკრედიტაციისთვის. გერმანულმა მხარემ გამოთქვა თანხმობა და მზადყოფნა მენტორობა გაუწიოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს;
- სახვითი ხელოვნების მუზეუმში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ეგიდით რიგით მეორე სამოქალაქო უსაფრთხოების სექტორის დონორთა საკოორდინაციო კონფერენცია გაიმართა. დონორთა კონფერენციის მიზანია საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი, გამართული სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში. აღნიშნული კონფერენცია ეფექტური ფორმატია სამოქალაქო უსაფრთხოების სტრუქტურების დაკავშირების, დონორებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და ახალი პროექტების განხორციელების მიზნით. ასევე, კონფერენციის ერთერთი მთავარი მიზანია დონორი ორგანიზაციებისთვის სამოქალაქო უსაფრთხოების სამსახურების საჭიროებების გაცნობა;
- საანგარიშო პერიოდში სამსახურის მოსამსახურეთა მიერ ქ. ფოთის, ქ. გორის და ქ. ახალციხის მერიის ხელმძღვანელობას ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი ადგილობრივი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით;
- ჩაატარა სამუშაო შეხვედრები იმერეთის, სამეგრელო - ზემო სვანეთის, რაჭა - ლეჩხუმ - ქვემო სვანეთის, გურიის, სამცხე - ჯავახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის მხარეების სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებში, ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების ერთობლივად განსაზღვრისა და დაგეგმვის მიზნით;
- სასწავლო პროექტის ,,საგანგებო სიტუაციები და მათი მართვა" ფარგლებში, ქ. თბილისის 82-ე საჯარო სკოლაში პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის ჩატარდა სემინარი;
- შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსპერტებისთვის უწყებრივი საგანგებო მართვის გეგმის მომზადების საკითხებზე;
- სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებათა ფარგლებში, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპის სარდლობა და აშშ-თან ორმხრივი თანამშრომლობის ოფისის თანაორგანიზატორობით ჩატარდა უწყებათშორისი თანამშრომლობის განვითარებისა და საგანგებო მართვის უწყებრივი გეგმების შემუშავების საკითხებზე შეფასებითი სემინარი;
- „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში მომზადდა შენიშვნები და წინადადებები;
- სამსახურის სტრუქტურული დანაყოფებისა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელი პირებისთვის მომზადდა საშტაბო-სამეთაურო სასწავლო კურსები და სამაგიდო სავარჯიშოები, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცოდნის გაღრმავებისა და პრაქტიკული უნარების დახვეწის/გაუმჯობესების მიზნით;

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს:
  - ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) ნატო-ს კრიზისების მართვის სასწავლო კურსში;

- ქ. ჟენევაში (შვეიცარია) გაერო-ს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისის (OCHA) ორგანიზებით გამართულ „ჰუმანიტარული კავშირების და პარტნიორობის კვირეულში“ (HNPW);
- ქ. ერევანში (სომხეთი) ევროკომისიის სამოქალაქო დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების გენერალური დირექტორატის (DG-ECHO) მიერ დაფინანსებული პროგრამა "დიპეკოს" (DIPECHO) V ფაზის შემაჯამებელ ღონისძიებაში;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ორგანიზებულ ოპერატიული მართვის კურსში (გერმანია/ ნოიჰაუზენი);
- ქ. ბრიუსელში (ბელგიის სამეფო) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და მათზე რეაგირების პროგრამის შემაჯამებელ კონფერენციაში და ქ. ბათუმში საერთაშორისო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების” და არასამთავრობო ორგანიზაციების „ბრიჯ-ინოვაცია და განვითარებისა“ და „შავი ზღვის ეკო აკადემიის“ ორგანიზებით გამართულ „მედეგობის ფორუმში“;
- ქ. ბათუმში საერთაშორისო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების” და არასამთავრობო ორგანიზაციების „ბრიჯ-ინოვაცია და განვითარებისა“ და „შავი ზღვის ეკო აკადემიის“ ორგანიზებით გამართულ „მედეგობის ფორუმში“;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპის სარდლობისა და აშშ-თან ორმხრივი თანამშრომლობის ოფისის ორგანიზებით ჩატარებულ სამუშაო შეხვედრებში - თემაზე „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემა და ეროვნული ვარჯიშების ხელშეწყობის პროგრამა“;
- ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტში, „Capacities“ - კატასტროფების რისკის მართვის შესაძლებლობების განვითარება ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოში მდებარე ქალაქებში;
- აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპის სარდლობისა და აშშ-თან ორმხრივი თანამშრომლობის ოფისის ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრებში თემაზე „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სრულყოფა და ეროვნული ვარჯიშების ხელშეწყობის პროგრამა“;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამა „მომავლის ბანაკის“ განხორციელებაში. სასწავლო კურსის მოდულსა და სასწავლო მასალების მომზადება;
- სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICDO) აღმასრულებელი საბჭოს 52-ე სესიაში;
- უკრაინაში „სუამის“ საგანგებო სიტუაციების სამუშაო ჯგუფის მე–20 სხდომის მუშაობაში;
- ქ. რევენში (შვედეთი) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს პერსონალის მართვის კურსში;
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთობლივი გარე შეფასების მისიის მუშაობაში;
- კრიტიკული ინფრასტრუქტურის რეფორმის განხორციელებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში;

- ქ. ლისაბონში (პორტუგალია)გამართულ სრულმასშტაბიან სწავლებაში - "CASCADE'19";
- ქ. ჟენევაში (შვეიცარია) გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების ოფისის (UNDRR) ორგანიზებით გამართულ "კატასტროფის რისკის შემცირების გლობალური პლატფორმის" მე-6 სესიაში;
- ქ. კიევში (უკრაინა) გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ორგანიზებით გამართულ ტრეინინგში „სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მეთოდოლოგიით კატასტროფების შედეგად დამდგარი პირდაპირი ზარალის დათვლა სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სატყეო სექტორში სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის და მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის ჩარჩოს ფარგლებში";

- საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 193 ხელშეკრულება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საიდანაც უკვე შესრულებულია 159 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ისეთ მომსახურების გაწევას როგორიცაა: სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაციების გაწევა და სხვადასხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დადგენილი წესით ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის თაობაზე;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების მოსამზადებელი სამუშაოები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში;
- მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შესამუშავებლად.